

წინამდებარე ხელშეკრულება სატელეკომუნიკაციო მომსახურების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება“) დადებულია 2011 წლის 3 იანვარს.

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ერთის მხრივ, ს.ს. „სილქნეტი“, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95, (შემდგომში „კომპანია“), წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების და მომსახურების ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის დირექტორის ალექსანდრა ჩიქავას სახით, და მეორეს მხრივ, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის 5, (შემდგომში „აბონენტი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით, შორის.

(ცალ-ცალკე, „კომპანია“ და „აბონენტი“ მოიხსენიებიან, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“)

1. „ხელშეკრულების“ საგანი

წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე, მისი პირობების და ტარიფების გათვალისწინებით „კომპანია“ „აბონენტს“ უწევს გარკვეულ სატელეკომუნიკაციო (ინტერნეტ) მომსახურებას 2 (ორი) თვის განმავლობაში (ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 28 თებერვლის ჩათვლით) (შემდგომში „მომსახურება“). კონკრეტული „მომსახურების“ დეტალური აღწერა და „მომსახურების“ შესაბამისი ტარიფები მოცემულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანართების სახით, რომელიც წარმოადგენს ამ „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში.
- 2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 3558 (სამი ათას ხუთას ორმოცდათვრამეტი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ და სხვა) ჩათვლით.

3. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა და „მომსახურების“ გააქტიურება

- 3.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის 2011 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 მარტის ჩათვლით.
- 3.2. „მომსახურების“ გააქტიურება ხორციელდება „მხარეებს“ შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4. „მომსახურების“ ღირებულება, ანგარიშსწორების წესი და ინსპექტირების პირობები

- 4.1. „კომპანიის“ მიერ „აბონენტისათვის“ მიწოდებული კონკრეტული „მომსახურების“ ყოველთვიური ღირებულება განისაზღვრება წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანართების საფუძველზე (შემდგომში „მომსახურების ღირებულება“).
- 4.2. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული შესაბამისი „მომსახურების“ დანართით, ყოველთვიური „მომსახურების ღირებულების“ გადახდა „აბონენტის“ შერეულუნდა



განხორციელდეს ყოველთვიურად, შესაბამისი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე. „მომსახურების ღირებულების“ გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „კომპანია“ უფლებამოსილია „აბონენტს“ დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

- 4.3. „მხარეთა“ შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით „კომპანიის“ ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხვის გზით.
- 4.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას „აბონენტის“ მხიდან განახორციელებს: - ლაშა მაჩიტაძე სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი.

5. „მხარეთა“ უფლება-მოვალეობები

5.1. „კომპანია“ ვალდებულია:

- 5.1.1. „აბონენტს“ მიაწოდოს ხარისხიანი „მომსახურება“ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- 5.1.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.
- 5.1.3. არ გაამჟღავნოს „აბონენტის“ პერსონალური ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა ან/და როდესაც „აბონენტის“ დავალიანების გადახდა ხორციელდება მესამე პირთა მიერ.

5.2. „აბონენტი“ ვალდებულია:

- 5.2.1. სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების ღირებულება“.
- 5.2.2. „მომსახურების“ მიღების უფლების მესამე პირებზე გადაცემის შესახებ წერილობით შეატყობინოს „კომპანიას“.
- 5.2.3. „მომსახურების“ მიწოდების ადგილად რეგისტრირებული უძრავი ქონების გასხვისების ან/და უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლების შეწყვეტის შემთხვევაში, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს „მომსახურებით“ სარგებლობის უფლების გადაცემა უძრავი ქონების ახალ მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე (რომელიც „აბონენტს“ ჩაენაცვლება წინამდებარე „ხელშეკრულებაში“), ან/და წერილობით მოსთხოვოს „კომპანიას“ „მომსახურების“ მიწოდების მისამართის ცვლილება ან „მომსახურების“ მიწოდების შეწყვეტა ამ „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად.
- 5.2.4. შეატყობინოს „კომპანიას“ დაზიანების შესახებ.
- 5.2.5. უზრუნველყოს შესაბამისი პირობები და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს „კომპანიას“ „მომსახურების“ მოსაწოხად აუცილებელი სამუშაოების შესასრულებლად.
- 5.2.6. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებები.

5.3. „კომპანია“ უფლებამოსილია:

- 5.3.1. მოსთხოვოს „აბონენტს“ „მომსახურების ღირებულების“ გადახდა და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება.
- 5.3.2. „აბონენტის“ მიერ „ხელშეკრულების“ 4.2 და 4.2 პუნქტებით განსაზღვრული პირობების გამოუყენებლობის შემთხვევაში, მოსთხოვოს „აბონენტს“ მიღებული „მომსახურების“ საფასურის გადახდა და მის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, „ხელშეკრულების“ შესაბამისად განახორციელოს „მომსახურების“ შეზღუდული ან/და შეწყვეტა.
- 5.3.3. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.
- 5.4. „აბონენტი“ უფლებამოსილია:
- 5.4.1. „კომპანიისათვის“ 30 დღით ადრე გაკეთებული წერილობითი შეყობინების საფუძველზე შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“;



- 5.4.2. მოსთხოვოს „კომპანიას“ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;
- 5.4.3. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

6. „მომსახურების“ მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობები

- 6.1. „აბონენტის“ მიერ „მომსახურების ღირებულების“ დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, „კომპანია“ უფლებამოსილია შეუზღუდოს ან/და შეუწყვიტოს „აბონენტს“ „მომსახურება“ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ „რეგლამენტის“ (შემდგომში „რეგლამენტი“) შესაბამისად.
- 6.2. ნებისმიერი „მხარე“ უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ 30 დღით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ მეორე „მხარე“ მნიშვნელოვნად არღვევს ამ „ხელშეკრულების“ პირობებს და თუკი ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება „მხარის“ მიერ მეორე „მხარისათვის“ შეტყობინების გაგზავნიდან 30 დღის განმავლობაში.
- 6.3. ნებისმიერი „მხარე“ უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ იმ შემთხვევაში თუ ა) „მხარე“ გახდება გადახდისუუნარო და ბ) „მხარის“ მიმართ აღიმკრება გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის პროცედურა.
- 6.4. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისას „აბონენტი“ ვალდებულია 30 დღის განმავლობაში სრულად აუნაზღაუროს „კომპანიას“ მის მიერ ფაქტიურად გაწეული „მომსახურების“ ღირებულება.

7. დაზიანების აღმოფხვრის პირობები და ვადები,

„მომსახურებასთან“ დაკავშირებული საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა დაზიანების აღმოფხვრა და „მომსახურებასთან“ დაკავშირებული საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა ხორციელდება „რეგლამენტში“ მოცემული ვადების და პირობების შესაბამისად.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 8.1. მიუხედავად ამ „ხელშეკრულების“ სხვა დებულებებისა, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „კომპანიის“ პასუხისმგებლობის (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზიანს, ზარალს ან/და პასუხისმგებლობას) მაქსიმალური ოდენობა „აბონენტის“ წინაშე განისაზღვრება ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურების“ 12 თვის ღირებულებით.
- 8.2. „კომპანიას“ არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა „აბონენტის“ მიერ „მომსახურების“ ან/და „ტექნიკური საშუალებების“ მეშვეობით მიღებულ ან/და გაგზავნილ (გატარებულ) ინფორმაციაზე/მასალაზე.
- 8.3. „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას „მხარე“, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას შეესრულებინა/ჯეროვნად შეესრულებინა ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ

შემოიფარგლება): ყველა სახის სტიქიური უბედურება მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ქარბუქი და სხვა, ეპიდემია, პანდემია, სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, გაფიცვა, საბოტაჟი, ბლოკადა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, ომი, საჰაერო საგნის ზემოქმედება, საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები, „კომპანიის“ ავარიული სიტუაცია, თუ ეს ავარიული სიტუაცია შეიქმნა „კომპანიისგან“ დამოუკიდებელი მიზეზების გამო და სხვა (მესამე პირის ბრალეული ქმედება და სხვა) (ფორს-მაჟორული გარემოებები).

9. ტექნიკური საშუალებების გადაცემა და მათი გამოყენების წესი

- 9.1. „კომპანიამ“ შესაძლოა მისი ამ „ხელშეკრულებით“ (შესაბამისი დანართებით) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნებისთვის „აბონენტს“ დროებით სარგებლობაში გადასცეს ტექნიკური საშუალებები (შემდგომში „ტექნიკური საშუალებები“) და უზრუნველყოს ტექნიკური საშუალებების სათანადო მონტაჟი აბონენტთან.
- 9.2. „ტექნიკური საშუალებების“ აბონენტისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება და დასტურდება შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე (შემდგომში „მიღება-ჩაბარების აქტი“) მხარეთა ხელმოწერით. „მიღება-ჩაბარების აქტში“ აღნიშნული იქნება „ტექნიკური საშუალებების“ დასახელება. „ტექნიკური საშუალებების“ „აბონენტისთვის“ გადაცემისას, „აბონენტს“ ჩაუტარდება „ტექნიკური საშუალებების“ სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) ინსტრუქტაჟი. „მიღება-ჩაბარების აქტზე“ აბონენტის ხელმოწერა ადასტურებს, რომ:
- (I) „აბონენტს“ გადაეცა ტექნიკური საშუალებები ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში;
 - (II) „აბონენტთან“ დამონტაჟდა „ტექნიკური საშუალებები“ და ისინი გამართულად მუშაობენ; და
 - (III) „აბონენტს“ ჩაუტარდა „ტექნიკური საშუალებების“ სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) ინსტრუქტაჟი და რომ „აბონენტმა“ გაიგო და ზუსტად იცის „ტექნიკური საშუალებების“ სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) წესები.
- 9.3. წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „მხარეები“ ადასტურებენ, რომ „ტექნიკური საშუალებები“ წარმოადგენენ „კომპანიის“ საკუთრებას. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით მოშლის ან მისი მოქმედების სხვაგვარი შეწყვეტის შემთხვევაში, „აბონენტი“ ვალდებულია დაუბრუნოს „კომპანიას“ „ტექნიკური საშუალებები“ ამ „ხელშეკრულების“ მოქმედების შეწყვეტიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში, რაზედაც „მხარეთა“ მიერ ხელი მოეწერება შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს. „ტექნიკური საშუალებების“ „აბონენტისგან“ მიღებამდე, „კომპანია“ ამოწმებს „ტექნიკურ საშუალებებს“ და თუ „კომპანიას“ გაუჩნდება რაიმე პრეტენზია „ტექნიკური საშუალებების“ მდგომარეობის (დაზიანება/განადგურება) გამო (ტექნიკური საშუალებების სათანადო გამოყენებით (ექსპლუატაციით) გამოწვეული ცვეთის გათვალისწინებით), „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ გადაუხადოს ჯარიმა „ტექნიკური საშუალებების“ გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული „ტექნიკური საშუალებების“ ღირებულების ოდენობით (შემდგომში „ტექნიკური საშუალებების ჯარიმა“). იმ შემთხვევაში თუ ამ „ხელშეკრულების“ მოშლის ან მისი მოქმედების სხვაგვარი შეწყვეტის შემთხვევაში, „აბონენტი“ არ დაუბრუნებს კომპანიას „ტექნიკურ საშუალებებს“ ამ „ხელშეკრულების“ მოქმედების შეწყვეტიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში, ჩაითვლება, რომ „ტექნიკური საშუალებები“ განადგურებული ან დაკარგულია და „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ გადაუხადოს „ტექნიკური საშუალებების ჯარიმა“. ამასთანავე „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „ტექნიკური საშუალებების

ჯარიმის“ გადახდა არ ათავისუფლებს „აბონენტს“ “ტექნიკური საშუალებების“ „კომპანიისათვის“ დაბრუნების ვალდებულებისაგან.

10. საინფორმაციო უზრუნველყოფა, ცვლილებების შეტანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა

- 10.1. “აბონენტს” „მომსახურებასთან“ დაკავშირებული საკითხების გასარკვევად და შესაბამისი ინფორმაციების მისაღებად შეუძლია დაუკავშირდეს “კომპანიის” ცხელ ხაზს (100 200).
- 10.2. “ხელშეკრულებაში” ან/და მომსახურების წესში, ასევე ტარიფების ცვლილებები ხორციელდება “კომპანიის” მიერ ერთპიროვნულად და ცალმხრივად. ცვლილებები ძალაშია მისი საჯარო გამოცხადებიდან ან/და “აბონენტისათვის” შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის შემდეგ. თუ “აბონენტი” არ ეთანხმება ახალ პირობებს, მას უფლება აქვს აღნიშნული 10 (ათი) დღის განმავლობაში მოშალოს „ხელშეკრულება“. აღნიშნულ ვადაში, „აბონენტის“ წერილობითი უარის მიუღებლობა ჩაითვლება „აბონენტის“ აქცეპტად და წინამდებარე „ხელშეკრულება“ გაგრძელდება ახალი (შეცვლილი) პირობებით.
- 10.3. წინამდებარე “ხელშეკრულება” რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 10.4. ამ “ხელშეკრულებასთან”, ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება “მხარეებს” შორის მოლაპარაკების გზით.
- 10.5. იმ შემთხვევაში, თუ “ხელშეკრულებასთან”, ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება “მხარეებს” შორის ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, “მხარეები” კანონით დადგენილი წესით მიმართავენ სასამართლოს. ამასთანავე „მხარეები“ თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ „კომპანიის“ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

11. საერთო პირობები

- 11.1. „მომსახურების“ გაწევა ხორციელდება სადემარკაციო წერტილამდე (ანუ იმ ვირტუალურ წერტილამდე, სადაც ხდება მხარეთა პასუხისმგებლობის გამიჯვნა).
- 11.2. „კომპანია“ არ არის პასუხისმგებელი აბონენტის მიერ ქსელში გადაცემულ ინფორმაციაზე; მომსახურების ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია „აბონენტის“ ლოკალური ქსელის გაუმართაობით; ვირუსული პრობლემებით ან/და თუ „აბონენტის“ სუბიექტური მოლოდინი და მოთხოვნა აღემატება „ხელშეკრულებით“ განსაზღვრულ „მომსახურების“ ხარისხსა და მახასიათებლებს.
- 11.3. „აბონენტი“ აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.
- 11.4. აბონენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება კომპანიის მომსახურების წესსა და ტარიფებს;
- 11.5. აბონენტი თანხმობას აცხადებს მის მიერ მითითებული პერსონალური მონაცემები შექვანილ იქნას კომპანიის მონაცემთა ბაზაში;
- 11.6. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული შესაბამისი „მომსახურების“ დანართით, ამ ხელშეკრულებით აბონენტი ყიდულობს „მომსახურებას“ და მას საკუთრობაში არ გადაეცემა რაიმე ტექნიკური მოწყობილობა ან/და ნივთი, მათ შორის, ნუმერაციის რესურსი (ტელეფონის ნომერი), რომლის სარგებლობის უფლების მინიჭებაც ხდება აბონენტისთვის;



ღანართი №1

ტარიფები მომსახურებაზე 1 თვის განმავლობაში
(მოცემულია დღე-ს ჩათვლით)

- FOE ინტერნეტ შეერთება 4მბ/წმ გლობალი და 12 მბ/წმ ლოკალი მისამართზე : ქ. თბილისი, თაბუკაშვილის 5 – 735.00 ლარი.
- ინტერნეტი ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილის საშუალებით მისამართზე ქ. თბილისი, ათონელის 27 – 4მბ/წმ გლობალი და 12 მბ/წმ ლოკალი – 1044.00 ლარი.

სერვისის პარამეტრები:

1. Connection Ratio XX:1 (კონკურენტული წვდომა XX:1, დამოკიდებულია პაკეტზე)
2. სიჩქარე სტანდარტული პატეკის მიხედვით
3. საიმედოობის დონე: მაღალი
4. VPN და VoIP სერვისების მხარდაჭერის გარეშე.
5. ტექნიკური მხარდაჭერა მხოლოდ სამუშაო დღეებში 10სთ-დან 18 სთ-მდე.
6. სატელეფონო ტექნიკური მხარდაჭერა 7 დღე 24 საათი
7. სერვისის პრიორიტეტი: მეორე დონე

კომპანია: ს.ს. "სილქნეტი"

მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N: 95
საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978
ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
საანგარიშსწორებო ანგარიშის N: 878415000

კორპორატიული გაყიდვების და მომსახურების ხარისხის
კონტროლის დეპარტამენტის დირექტორი

ალექსანდრა რიქვა



კომპანია: სსიპ საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
მისამართი: თბილისი, თაბუკაშვილის 5
საიდენტიფიკაციო კოდი: 204562311
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: 220101222
საანგარიშსწორებო ანგარიშის N: 200122900

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ვაჩიშვილი



ქ. თბილისი

28 თებერვალი, 2011 წელი

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ინა ავალიანის სახით და მეორეს მხრივ, სს „სილქნეტი“ (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი მისი კორპორატიული გაყიდვების და მომსახურების ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის დირექტორის ალექსანდრა ჩიქავას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. სს „სილქნეტთან“ 2011 წლის 3 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №3/2 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები – შემსყიდველი და მიმწოდებელი – შეთანხმდნენ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვროს 2011 წლის 31 მარტის ჩათვლით.

1.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებას (3558.00 ლარი) დაემატოს 1 თვის მომსახურების ღირებულება (1779 ლარი), და განისაზღვროს 5337 (ხუთი ათას სამას ოცდაჩვიდმეტი) ლარით.

1.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2011 წლის 1 მაისის ჩათვლით.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2011 წლის 3 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №3/2 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900
ს/კოდი: 204562311

მიმწოდებელი

ს.ს. „სილქნეტი“
მის: თბილისი,
წინამძღვრიშვილის ქ. N: 95
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
კოდი BAGAGE22
ა/ა № 878415000
ს/კოდი: 204566978

**გენერალური დირექტორის
მოადგილე**

ინა ავალიანი

**კორპორატიული გაყიდვების და მომსახურების
ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის
დირექტორი**

ალექსანდრა ჩიქავა



[Handwritten signature of Ina Avalliani]



[Handwritten signature of Alexandra Chikava]